



ქ თბილისი, ვლდანის მასივი, I მიკრორაიონი, მე-17 კორპ., ბინა 20  
ტელეფონი 67-70-78 67 67-15

microdistrict 1, build. 17, flat 20, settlement Gldani, Tbilisi  
Phone 67-70-78

საქართველოს იუსტიციის მინისტრს  
ქალბატონ თეა წულუკიანს

სამოტივაციო წერილი

ამ ქვეყნის საზიანრდ წარმართულ პროცესებმა, დაგვანახეს ის დაძაბული ვითარება რაც სუფევს ჩვენს ქვეყანაში. საზოგადოების თითოეული წევრის ყოფით ცხოვრებაში ლოგიკური იყო დაძაბულობის დასარული რითაც საბოლოოდ მთავრობა გადადგა. აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ სადისტური რეჟიმის მიერ ჩადენილ სისტემურ დანაშაულებებს რითაც თავდახრილნი და შეურაწყოვილნი დღემდე ცხოვრობენ ადამიანები თუ ამას ცხოვრება ჰქვია. მრავალი ოჯახი რა თქმა უნდა იმედით ცხოვრობს, სულ პატარა შუქი ჩნდება ყოველდღიურად გვირაბში, ვის შეუძლია, რომ გვირაბი მთლიანად გაანათოს? რათა მოქალაქეებს დაუბრუნდეს ღირსება და კანონის უზენაესობა. ჩვენს ქვეყანაში უამრავი პატიოსანი, ნიჭიერი, თავიანთი დარგის პროფესიონალი ცხოვრობს, ასაკის მიუხედავად თუ კი ისინი გაივლიან სპეციალურ საკანონმდებლო პროცედურის კონსულტაციებს და შიდა გასაუბრებებს, მიგვაჩნია სამოქალაქო საზოგადოების ცნებაში არ მოიაზრება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები. კომპლექსურ სისტემად აღიქმება

საქართველოს იუსტიციის საინფორმაციო ცენტრის სახელი  
თბილისის იუსტიციის სახელი  
შპს. № 9166  
93 "3" ივლისი 2018

გაცილებით ფართო სუბიექტები, სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები, რელიგიური გაერთიანებები, შრომის ბაზრის სუბიექტები და სხვა საზოგადო მოღვაწეები ასეა ასახული ევროპულ სამართალში. ყველა გამოსაყენებელი შენი ქვეყნის შენი მოსახლეობის ამ რთულ სამართლებრივ მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

ზემოთ მითითებული ორგანიზაციის წარმომადგენლებს ზედმეტი ხმაურის გარეშე მთელი 30 წლის მანძილზე ვასრულებდით ფანტასტიურ საქმეებს, რომლის ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ. ყველაფერი ეს შემართება და სიყვარლი ჩვენს სამშობლოს საქართველოს ეკუთვნის, აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ შესრულებული საქმეები სრულდებოდა სრულიად უანგაროდ, ენთუზიაზმზე. ყოველი წლის პატარა წარმატებებს ვაკვირდებოდით ნელ-ნელა, 2012 წელს ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური ძალა მოვიდა თითოეულ მოქალაქეს ნდობის ფაქტორი დაუბრუნდა, მაგრამ სამწუხაროდ უსამართლოდ განწირულ ადამიანებს დღემდე ვერ დაუბრუნეს ღირსება, დანაშაულებრივი რეჟიმის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ხშირ შემთხვევაში გამოუცდელ კადრებს ანდობენ ძალზედ მნიშვნელოვან სახელმწიფო მანდატს, რომელთა უმრავლესობის საქმიანობა, ჩვენი საზოგადოების თვალწინ ყველა მიმართულებით ხელოვნურად, სახელმწიფოს აღმშენებლობას ხელს უშლიდა. ასევე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, რომ დღევანდელი სასამართლო და იუსტიციის საბჭო დაკომპლექტებულია ისეთი კადრებით სადაც დასკვნა ერთადერთია - სამართალი მართლაც გაუპატიურებულია.

საქართველოს გენერალური პროკურატურა ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურაა ქვეყანაში, ამ უწყების თითოეული თანამშრომლის სამუშაოს შესრულების უნარები განსაკუთრებული ცოდნითა და კვალიფიკაციის მანერებით უნდა იყოს შემკული, ის აუცილებლად უნდა იყოს საინტერესო ადამიანი, რომელსაც მოვალეობებისა და



პასუხისმგებლობებისათვის თავის გართმევა შეუძლია, ქონდეს ის შესაძლებლობები, რომ კარგად გააცნობიეროს დღევანდელი ელიტარული კორუფციის მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით მოძებნოს გზები და რაც მთავარია ინიციატივებით შევიდეს შესაბამის უწყებებში სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი მუხლის გაუქმებისა და ახალი მუხლების დამატების ინიციატივით, რითაც დაცულ იქნება მოქალაქის სამართალი „კლანური მმართველობისგან“. გადასახედია სამოქალაქო კოდექსი, რამაც საშუალება მისცა შექმნილიყო მომრავლებული თაღლითური ჯგუფები, რომლებიც წლების მანძილზე საქმოსნობენ და ცდილობენ სხვისი საცხოვრისების უკანონოდ დაუფლებას. წლობით გაჭიანურებული სასამართლოები, მათში მოქმედი პირების მიმართ ბევრი კითხვები ჩნდება. შსს ადგილობრივი რგოლების მიერ გამოვლენილია და გამოკვლეულია ესა თუ ის თაღლითური ჯგუფი, რომელსაც შემდგომში ადასტურებს პროკურატურაც და ავლენს დაზარალებულად ამა თუ იმ მოქალაქეს, მაგრამ სასამართლო სისტემა აბურთავებს განადგურებულ ადამიანებს, პირველი, მეორე, მესამე ინსტანციები, რომელსაც წლები სჭირდება დაახლოებით 3-7 წლამდე, ზოგჯერ მეტიც (მაგალითისთვის 85 წლის კლარა სვანიძის საქმე, რასაც კანონი უწყობს ხელს). არ უნდა ჭირდებოდეს საქმეში წარმოჩენილი და ხელისშემწყობი სუბიექტების გამოვლენას 3-7 წელიწადი. საქმის გაჭიანურება მიუთითებს უკვე დამნაშავე პირების მფარველობას.

ჩვენი ქვეყნის საზოგადო მოღვაწეები, რიგითი ადამიანები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები შემოვდივართ წინადადებით რათქმაუნდა თუ თქვენი ნება იქნება დაინტერესდეთ პიროვნებაზე, რომელიც სამსახურისა და გუნდის ერთგული იქნება ქალბატონი ლენა კაპანაძის ცოდნა და კვალიფიკაცია შეფასებული თავის დროზე პროკურატურის სისტემაში მუშაობის პერიოდში, სადაც იგი გამოირჩეოდა საქმიანი ალღოს

დიპლომატიით, მან თვითონ უთხრა უარი მაშინდელი რეჟიმის საშიშ ძალას თანამშრომლობაზე და გადადგა გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის თანამდებობიდან, ეს მაშინ გმირობის ტოლფასი იყო. იგი დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით, მან კარგად იცის ჩვენი ქალაქის სპეციფიკა, მას ადამიანი უყვარს, უფრთხილდება და თავის ცოდნას სამართლიანობას მოახმარს. თქვენი თანადგომითა და მორალური მხარდაჭრით დედაქალაქს აუცილებლად გამოადგება კანონიერების, სამართლიანობის და სტრუქტურის მორალის გასაძლიერებლად, იგი ავტორიტეტს დაუბრუნებს იურისდიქციის მატარებელ მანდატის მფლობელებს და საბოლოოდ თქვენს მიერ გადახალისებულმა კადრებმა და მომავალმა ღირსეულმა მთავარმა პროკურორმა, რომლის იმედიც გვაქვს, რომ ქალაქს შვებას და სამართალს მიანიჭებს.

ბოლოს გვინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, თქვენი საყვარელი ოჯახის კარგად ყოფნა, პირად საქმიანობაში წარმატებები თქვენს გუნდთან ერთად.

უფალი იყოს თქვენი შემწე ყველა კეთილ საქმეში.

ღრმა პატივისცემით:

ივანე სოსო თეთოთიძე  
საქართველოს ადვოკატთა  
აღმშრომლებელი

2. ნინო ქანიჭვილი, ჭოფესოხი, სპორტო მოკვანე, ყოფილი მსახიობი
3. მანანა ჭანელიძე, "ქსაყვი-შვედუსი ინსტიტუტი"
4. ალექსანდრე ავსტანოვი "განმანათლებლები ასოციაცია"
5. დედოფალ ანა
6. ვლადიმერ შაბაძე "მსოფლიო ჟურნალის"
7. თამარ თეთოთიძე "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია"
8. ლიბო ავალიანი - სოლომონის ასოციაცია
9. მანანა სულა - თანამშრომელი
10. თამარ საბელიანი - ანთროპოლოგი და სოციოლოგი